



# შირაკი

## SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№12 (9.626)

12-19 აპრილი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## „თუმცა დღეს გარდისფრად გვიღიმის აპრილი, გულს მაინც ტკივილი სერავს...“



ოცდამეხუთედ მოვიდა საქართველოში ტკივილიანი გაზაფხული და დაჭრილი აპრილი... 9 აპრილის ტრაგედია საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთ დიდ ტრაგედიად აღიქმება, თუმცა სამშობლოს დამოუკიდებ-

ლობისათვის ბრძოლას ზვარაკად შეწირული ახალგაზრდების სიკვდილს უკვალოდ არ ჩაუვლია-სწორედ ეს ტრაგედია იქცა საბჭოთა მოწივების რღვევის წინაპირობად და საქართველოში ეროვნული მოძრაობის დასაწყისად.

ზუსტად ორი წლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ამასაც სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა... მას შემდეგ ყოველ წე-

ლინადს იკრიბება ქართველი ხალხი 9 აპრილის მემორიალთან და პატივს მიაგებს როგორც ამ დღეს დაღუპულთა სულებს, ასევე ზეიმობს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასაც. ამ ერთმა თარიღმა ხომ ორმაგი დატვირთვა, დიდი ხანია, შეიძინა-ტრაგედიისა და ეროვნული ერთობის სიმბოლოდ იქცა. წელსაც არ იყო გამონაკლისი.

დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს ამ დღეს დაღუპულთა ხსოვნას. მემორიალთან ქ.დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი პეტრე, სოფელ სამრეკლოს სერაფიმე საროველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი გაბრიელი მივიდნენ და 9 აპრილს დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლი-

ნეს. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და 9 აპრილის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა:

„მისხარია, რომ ამდენი ხალხი შეიკრიბა იმ გვირგვინის პატივის მისაგებად, რომლებმაც დიდწილად განაპირობეს ყველა ქართველის სანუკვარი ოცნების განხორციელება -საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება. ამდენი პატარა ბავშვის აქ ყოფნა იმედს მძლევს, რომ ჩვენს ლამაზ ქალაქში ეს დღე - 9 აპრილი დავიწყებას არასდროს მიეცემა“- განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ლონისძიება ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების გამოსვლით დასრულდა. მემორიალთან კი დარჩა ანთებული სანთლები და უამრავი ყვავილი, რომლებიც თავის დროზე იქცნენ 9 აპრილის ტრაგედიის სიმბოლოდ.

ინგა შიოლაშვილი

## ცხოვრება შიშსა და სიდუხჭირეში

2011 წლის საქართველოში დედოფლისწყაროში ტრაგედია მოხდა, ელიას მთაზე მდებარე ელია თეოფილტის მამათა მონასტრის კიბის ჯაბირიდან 38 წლის ზურაბ ლურსმანაშვილი ბადავარდა და ადგილზე დაიღუპა... ნასკამ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი ელიას მთაზე ეკლესიაში მიმდინარე მთაზე სალოცავად იყო ასული, რა დროსაც უბედური შემთხვევა მოხდა. ზურაბ ლურსმანაშვილს მუშაობდა და ორი არასრულწლოვანი შვილი ღარბა, მათ შორის უმცროსი ვაჟი ცერკაბა-ლური დაგვლით დაიბადა. მარჩენალ-დაპარგული ოჯახი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ერთიან გაზაფხულს რეინტეგრირებული და ყოველთვიურ საარსებო შემოსავალს იღებს. მიუხედავად ამისა, ლურსმანაშვილებს უკიდურეს სიღატაკში უნდა ცხოვრობდნენ.

აფარებენ თავს. თუმცა, დედოფლისწყაროში, ჭაგჭავჭავის ქუჩაზე მდებარე მცირე ზომის ალიზის ბინა ძალზე ძველი და ავარიულია. გაზეთი „შირაქი“ მათი საარსებო პირობებით დაინტერესდა და ხელმოკლე ოჯახს ეწვია. პირობები მართლაც გული-სამარწყებელია, ჭერი, იატაკი და კედლები მთლიანად ამორტივებულია. წვიმის დროს ოთხებში წყალი ჩადის, ზაფხულში კი ჩანგრეული იატაკისა და დახეთქილი კედლებიდან ქვეწარმავლების შიში ძილს უფრთხობს. ამის გამო უნარშეზღუდული მოზარდის მარტო დატოვებასაც ვერ ახერხებენ.

გარდა ამისა, უკვე მერამდენე წელია ოჯახის არცერთი წევრი დასაქმებული არ არის, რაც მათ ყოფას კიდევ უფრო ართულებს. მათ შემოსავალს მხოლოდ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის განკუთვნილი საარსებო შემწეობა და პენსია შეადგენს. უნარშეზღუდულ მოზარდს არც ეტლი ჰქონდა, მრავა-

ლწლიანი ლოდინის შემდეგ 16 წლის მალხაზს საერთაშორისო ორგანიზაციებმა ახლახან საჩუქრად ეტლი გადასცეს. მარჩენალდაკარგული ოჯახი დახმარებას ითხოვს.

როგორც ოჯახის უფროსი, 37 წლის იზოლდა ბუზალაძე ამბობს, წლების წინ, ზურაბ ლურსმანაშვილზე დაქორწინების შემდეგ ყვარელში ცხოვრობდნენ. მისი თქმით, იქ არსებობა უჭირდათ, ოჯახის შემოსავალს მხოლოდ პატარა მიწის ნაკვეთი შეადგენდა, ამიტომაც რვა წლის წინ, ყვარლის რაიონიდან დედოფლისწყაროში გადასახლება გადაწყვიტეს. ამბობს, რომ მას შემდეგ მათი ყოფა შედარებით გაუმჯობესდა. ყვარლისგან განსხვავებით დედოფლისწყაროში სამუშაოს პოვნა და შვილების გამოკვება არ უჭირდათ.

„სანამ ყვარელში ვცხოვრობდით, არანაირი შემოსავალი არ გვქონდა. სამსახური ჭირდა და მუდმივად არსებობის პრობლემა გვქონდა. რადგან სხვა გამოსავალი

არ გვქონდა, 8-9 წლის წინ აქ ჩამოსახლება გადაწყვიტეთ, თან აღმოჩნდა, რომ დედოფლისწყაროს ჰაერი ბავშვებს ძალიან მოუხდათ. დედოფლისწყაროში საკუთარი ჭერი არ გვქონდა, მაგრამ დედაჩემის პატარა სახლს მივეკედლეთ. აქეთ გადმოსვლის შემდეგ სულ მუშაობდა, ასე თუ ისე, ამ პერიოდში გაჭირვებისგან დავისვენეთ, თუმცა უბედური შემთხვევა თავს დაგვატყდა და მეუღლე ელიას მთაზე გარდაამეცვალა.

**- ეჭვი ხომ არ გაგჩენიათ, იქნებ მისი გარდაცვალება ძალადობის შედეგად მოხდა?**

- არა, ეჭვის საფუძველი არ გვაქვს, იმ დღეს ნასვამი იყო, მეგობრებთან ერთად ელიას მთაზე ავიდა და უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. ეჭვი ნამდვილად არ გაგჩენია. მისი გარდაცვალების შემდეგ არსებობა გვიჭირს. გაზი შემოყვანილი გვაქვს და ჩვენი მწირი შემოსავალი ძირითადად გადასახადებს და

**ხალხი და მიღებული „დაუბარავი მინიშნუნი“...**

**33. 4**

**ხელოვნება ადამიანებს აერთიანებს**

**33. 5**

**კვირადღიერაბული**

**კოსმობიკა თუ**

**კარგად დააბავილი**

**თაღლითობა?**

**33. 8**

**გილოცავთ გოგონს დანასნაულს!**

13 აპრილს მართლმადიდებელი ეკლესია ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიობას ანუ ბზობას უწოდებენ. მაცხოვრის შესვლა იერუსალიმს ძღვევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. უბრალო ადამიანებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს უფალს. ეს ზეიმი წინასწარ არავის მოუზადებია, ის ადამიანთა ყველაზე წმინდა, ყველაზე წრფელი გრძობების უეცარი და, შეიძლება ითქვას, უფლის მიერ შთაგონებული გამოხატულება იყო. ასე ხდება, როცა ადამიანი ხარობს ღვთის დიდებულებას და მისთა საკვირველთა საქმეთა გამო.

იერუსალიმისაკენ დიდებით მიმავალი ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა და ასე ეგებებოდა მაცხოვარს. ყოველი მხრიდან ისმოდა ლაღადისი: „ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ოსანა, რომელი ხარ მალაქია ძინა!“ (მათე 21, 9).

იერუსალიმს დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამოხატულების საშუალება მისცა, ხოლო მოძულეებსა და მტრებს - მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.



# კრის მერფი საქართველოსთვის ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭებას ითხოვს

ამერიკელი სენატორი კრის მერფი საქართველოსთვის ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (მაპი) მინიჭებას ითხოვს.

ამის შესახებ ამერიკელმა სენატორმა, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, ეს იქნება მკაფიო სიგნალი ვლადიმერ პუტინისთვის, რომ ის მუქარით და აგრესიით მიზნებს ვერ მიაღწევს.

„ახლა უკვე დროა, ნატო-მ საქართველოს წევრობის სამოქმედო გეგმა მიანიჭოს. მოუხედავად იმისა, რომ საქართველოს გამო კომფორტაციის საფრთხემ შესაძლოა წარსულში ნატო-ში პოზიციების გაყოფა გამოიწვიოს, ახლა ეს უკვე ძლიერ სიგნალს გაგზავნის პუტინთან, რომ ის არა-თუ ვერ მიაღწევს თავის მიზნებს დაშინებით და შანტაჟით, არამედ ამ მცდელობას სანაღმდეგო ეფექტი იქნება. იმედი მაქვს, ადმინისტრაციისათვის უფლისა სამიტზე, საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება პრიორიტეტი იქნება“ - განაცხადა მერფიმ.

მანვე აშშ-ს და ევროპას რუსეთისათვის იარაღის მიყიდვის შეწყვეტისაკენ მოუწოდა.

„დროა, აშშ-მა გადახედოს ევროპაში ამერიკული სამხედრო წარმომადგენლობის ისტორიულად მცირე რაოდენობას. მისი ცოტათი გაზრდაც კი, ჩვენი მეგობრებისთვის და მონინალდმდეგებისათვისაც მკაფიო გზავნილი იქნება. გარდა ამისა, აშშ და ევროპულმა მოკავშირეებმა უნდა შეწყვიტონ რუსეთისთვის იარაღის მიყიდვა. იმედი მაქვს, საფრანგეთიც გადახედვს რუსეთისთვის „მისტრალის“ ტიპის სამხედრო ხომალდების მიწოდებას, რომელიც აგებულია სწორედ ისეთი ტიპის შეჭრისთვის, რომელიც ყირიმის სანაპიროებთან მოხდა“ - აცხადებს ამერიკელი სენატორი.

# მთავრობა მეცხვარეობის განვითარების ჰროგრამაზე მუშაობას იწყებს

საქართველოს მთავრობა მეცხვარეობის განვითარების პროგრამაზე მუშაობას იწყებს. პროგრამა მოიცავს ზამთრის საძოვრებისა და ცხვრის გადასარევი ტრასების მოწყობას, მეცხვარეობის აღორძინების მიზნით მთის რეგიონების მოსახლეობისთვის ფინანსური და სხვა სახის დახმარების განეგვას.

ამ თემაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ერეკლე ტრიპოლსკიმ ეკონომიკის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე იმსჯელეს.

შეხვედრას ყაზბეგისა და ლუშეთის რაიონების მაჟორიტარი დეპუტატები და მეცხვარეთა ასოციაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მთავრობაში განიხილება მინის სახელმწიფო ფონდიდან კლასტრების გამოყოფის საკითხი, სადაც მოეწყობა საქართველოს ტერიტორიაზე ზამთრის საძოვრები, აგრეთვე მოგვარდება გადასარევი ტრასების პრობლემა. კვირიკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ მთის მოსახლეობისთვის ცხვრის მოშენების მიზნით მინიგრანტების გამოყოფის საკითხიც განიხილება.

# ექიმების და ექთნების დაფინანსება გაიზრდება

მთავრობამ დამტკიცა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი პროექტი, რომლის თანახმად სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებების დაფინანსება 2 მილიონი ლარით იზრდება. ცვლილება ეხება მაღალმთიანი რეგიონების კლინიკებსაც. 30%—ით გაიზრდება სოფლის ექიმების და ექთნების ანაზღაურება.

სოფლის ექიმის მომსახურების ღირებულება თვეში 456 ლარით, ხოლო ექთნის მომსახურების ღირებულება თვეში 304 ლარით განისაზღვრა.

მთავრობის დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის თავიდან აცილების მიზნით, ორსულ ქალებს შესაბამისი მედიკამენტებით ჯანდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს.

„მთავრობის დღევანდელ სხდომაზე დამტკიცდა ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები, მათ შორის მაღალმთიანი კლინიკების სპეცდაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდება, რადგან ეს ბიზნესის კუთხით ნამგებია, მმართველები არიან კერძო კომპანიები და ჩვენი ვალდებულებაა, შევინახოთ და გავაუმჯობესოთ ამ რაიონების სამედიცინო მომსახურება“, — განაცხადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ.

# უკრაინის კრიზისი საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობაზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს - შტაინმაიერი

„საქართველოსთან ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერისთვის მზადება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, არ არსებობს კითხვის ნიშნები და სწორედ ამის გამო, დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდება და ასოციირების ხელშეკრულებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის ჩათვლით, ძალიან მაღელ მოენერება ხელი“ - ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა ქართველ კოლეგასთან მაია ფანჯიკიძესთან გამართულ შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელის თქმით, საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის სრული მხარდაჭერა აქვს. „აღსანიშნავია საქართველოს მიერ მიღწეული წარმატება დემოკრატიზაციის პროცესში და რეფორმების ის კურსი, რომელსაც თქვენი ხელისუფლება მიჰყვება. მსურს ამ კურსის მხარდაჭერა გამოვხატო და დაგარწმუნო, რომ თქვენ გეგნებით საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა, ეს ეხება საქართველოს თანამშრომლობის განვითარებას როგორც ევროკავშირთან, ისე ნატოსთან“ - აღნიშნა შტაინმაიერი.

მისივე განცხადებით, უკრაინის კრიზისი გავლენას არ მოახდენს საქართველო-ევროკავშირის დიალოგზე, ისევე, როგორც ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებაზე. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, მიმდინარეობს მუშაობა თანამშრომლობის ახალ პაკეტზე, რომელსაც უახლოეს კვირათა განმავლობაში განიხილავენ და შესაბამის დასკვნებს გამოიტანენ.

„რუსეთის ქმედებები ყირიმთან დაკავშირებით მიუღებელია ყველა თვალსაზრისით, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის, ისე საერთაშორისო სამართლის კუთხით. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ უკრაინას პოლიტიკური და ეკონომიკური კოლაფსი თავიდან ავარდოთ.“

უკრაინის კრიზისი არის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კრიზისი, რომელიც ჩვენ ევროპაში გვიხანავს, მაგრამ ამან არ უნდა მოახდინოს უარყოფითი გავლენა ჩვენს დიალოგზე საქართველოსთან ასოციირების პროცესისა და ბუქარესტის და მისი შემდგომი ფორუმების გადაწყვეტილებების კუთხით. ჩვენ ვმუშაობთ რიგ საკითხებზე, რომლებსაც უახლოეს კვირებში მოთმინებით განვიხილავთ და გარკვეულ დასკვნებსაც გამოვიტანთ“ - აღნიშნა შტაინმაიერი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე გერმანულ კოლეგას ბერლინში, საშუალო ვიზიტის ფარგლებში შეხვდა.

# მსჯავრდებულთა სოციალურად დაუცველი ოჯახები უფასო გრძელვადიანი ჰაემით ისარგებლებენ

სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის სოზარ სუბარის ინიციატივით, იმ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებს, რომლებიც სოციალურად დაუცველი არიან და რეესტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, უფასო გრძელვადიანი ჰაემით სარგებლობა შეეძლებათ, - აცნობეს მედიასამუშაოების სამინისტროდან.

აქამდე მოქმედი კანონმდებლობით, მსჯავრდებულთათვის ხანგრძლივი ჰაემანი ფასიანია და 60 ლარს შეადგენს. რადგან მსჯავრდებულთა უმრავლესობა სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან, ბევრი მათგანი ჰაემისთვის საჭრო თანხის გამო ვერ ახერხებდა ოჯახის წევრებთან შეხვედრას. სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილის გრიგოლ გიორგაძის განცხადებით, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახის წევრებთან და გარე სამყაროსთან კონტაქტი. აღნიშნული ინიციატივა ასევე დიდი შედეგით იქნება სოციალურად დაუცველი პატიმრების ოჯახებისთვისაც. ამიტომ სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის აღნიშნული ინიციატივით, ეს შედეგით დაინახება.

ამავე ინიციატივის ფარგლებში, სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებაში შეტანილი ცვლილებებით, არასრულწლოვანთათვის ხანგრძლივი ჰაემის საფასური განახლებად და 30 ლარს შეადგეს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯავრდებულებისა და მათი ოჯახის წევრების ინფორმირების მიზნით, სასჯელალსრულების ყველა დაწესებულებაში საინფორმაციო კამპანია დაიწყება.

# მასწავლებლები ოთხ საკვალიფიკაციო კატეგორიად დაიყოფიან

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მიხედვით, მასწავლებლები ოთხ კატეგორიად: წარჩინებულ, პრაქტიკოს, მკვლევარ და მენტორ მასწავლებლებად დაიყოფიან. ცვლილებების თანახმად, მასწავლებლის თეორიული ცოდნის გარდა, მის პრაქტიკულ საქმიანობასაც შეაფასებენ.

განათლების უნარჩვევების და სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით, შედგაგვებს ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა შეეძლებათ. პრაქტიკოს მასწავლებელს წარჩინებული მასწავლებლის კატეგორიის მისაღებად სამი წელი, წარჩინებულ მასწავლებელს — მკვლევარი მასწავლებლის კატეგორიაში გადასასვლელად ოთხი წელი, ხოლო მკვლევარ მასწავლებელს 5 წელი ეძლევა.

ახალი სისტემის მიხედვით, წარჩინებული მასწავლებელი შეიძლება იყოს, თუ ის მოახერხებს კლასში ბავშვები ინდივიდუალურ დონეზე ამუშაოს და მათ წარმატების მიღწევაში დაეხმაროს.

თუ მასწავლებელი კვლევებს ეყრდნობა და მოდიფიცირებას უკეთებს სასწავლო პროგრამებს, მკვლევარი კატეგორიის სტატუსს მოიპოვებს.

მენტორის სტატუსი უმაღლესი კატეგორიაა, ის ლი-



დერი შედგაგვია და მაგალითია სხვებისთვის. გავლენას ახდენს სკოლის კულტურაზე და მუშაობს დამწყებ პედაგოგებთან.

ის ვინც მხოლოდ თეორიულ ცოდნას იყენებს ეფექტურად, პრაქტიკოსი მასწავლებლის კატეგორიაში მოხვდება.

„ყველა არასერტიფიცირებული მაგისტრი და ბაკალავრი იქნება მესამე, ანუ პრაქტიკოსი მასწავლებლის კატეგორიაში. შემდეგ სერტიფიცირებული ასევე ბაკალავრი და მაგისტრები შევლენ წარჩინებული მასწავლებლის კატეგორიაში და ასევე მცირე ჯგუფი იქნება მეცნიერებათა დოქტორები, რომლებსაც აქვთ სკოლაში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება. პრაქტიკოსი მასწავლებელი რომ გახდეს წარჩინებული, ეძლევა სამი წელიწადი. წარჩინებულ მასწავლებელს, რომ გახდეს მკვლევარი მასწავლებელი ეძლევა ოთხი, მკვლევარ მასწავლებელს 5 წელი“, — განაცხადა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის პროგრამის კოორდინატორმა კახა ჟღენტმა.

მისივე თქმით, საკუთარ საქმიანობას სასწავლო ნაწილთან, დირექტორთან და გარე ინსტიტუტებთან ერთად მასწავლებელი თავადაც შეაფასებს.

ცვლილებების ამოქმედება სექტემბრიდან იგეგმება. პედაგოგთა კეტაგორიებად დაყოფა მათ ხელფასებზეც აისახება. თუმცა ამ დონისთვის უცნობია, რა იქნება უმაღლესი კატეგორიის მენტორი მასწავლებლის ყოველთვიური ანაზღაურება.

# „ქართული ოცნება“ — ჩვენი ჰოლიტიკური ძალისთვის ძალადობა მიუღებელია

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ სხვადასხვა ქალაქში „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ განვითარებულ მოვლენებს ემიჯნება. პარტიის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„დაუშვებელია საზოგადოებაში დაგროვილი აგრესიის ძალადობრივი მეთოდებით გამოხატვა. ეს ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ჩვენს პრინციპებსა და იმ ღირებულებებს, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ.“

ჩვენი პოლიტიკური ძალისთვის მიუღებელია ძალადობა. პარტია „ქართული ოცნება“ - დემოკრატიული საქართველო“ ყოველთვის ღიად აფიქსირებდა და დღესაც აცხადებს, რომ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია სწორედ მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში ჩავატაროთ არჩევნები, ისეთ გარემოში, სადაც დაცული იქნება თითოეული ადამიანის უფლება და კანონის უზენაესობა“, - ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, 10 აპრილს, „ნაციონალური მოძრაობიდან“ პარლამენტის წევრებს გიორგი ლვინიაშვილს და ლევან ბეჟაშვილს თელავში, თეატრის წინ, ბრიფინგის გამართვის საშუალება არ მისცეს. თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა და „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა დეპუტატები უცენზურო სიტყვებით აგინეს და ტერიტორია დატოვებინეს, რის შემდეგაც მათ მანქანებს ცოცხები და კვერცხები ესროლეს. ბრიფინგის ჩაშლის მიზნით, თეატრის წინ, ბაიკერებიც ჰყავდათ მობილიზებული. ანალოგიური ფაქტები საქართველოს სხვა ქალაქებშიც დაფიქსირდა.



# „ახალი ღვინის ფესტივალი 2014“ 24 მაისს გაიგართება

„ღვინის კლუბი“ 2014 წლის 24 მაისს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში უკვე მეხუთეჯერ ატარებს „ახალი ღვინის ფესტივალს“, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ღვინის ცნობადობისა და კულტურის გაზრდას. „ახალი ღვინის ფესტივალი“ ერთადერთი ღონისძიებაა, სადაც ღვინის დიდი სანარმოებით დაწყებული, გლეხით დამთავრებული, მონაწილეობის მიღების საშუალება ყველას ეძლევა.

გასულ წელს ფესტივალმა დიდი წარმატებით ჩაიარა, „ღვინის კლუბმა“ უმასპინძლა 20 ათასამდე სტუმარს, რომელთა დიდ ნაწილსაც ღვინით დაინტერესებული პირები და ის მომხმარებლები წარმოადგენდნენ, რომლებიც ცდილობენ უფრო კარგად გაერკვნენ ქართულ ღვინოში. ფესტივალს ძალიან ბევრი უცხოელი სტუმარი ჰყავდა, ასევე სტუდენტი-ახალგაზრდები, რომლებიც დღეს უკვე საკმაოდ აქტიურ როლს თამაშობენ ქართული ღვინის პოპუ-

ლარიზაციის საქმეში.

გასულ წელს ფესტივალში მონაწილეობდა საქართველოში არსებული თითქმის ყველა დიდი კომპანია, ასევე მცირე მარნები და მევენახე-გლეხები, რომლებიც „ღვინის კლუბმა“ რეგიონებში შეარჩია.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ბოლო მოსავლის ღვინოები.

უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახური მარნებისთვის აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა დიდი სტიმული აღმოჩნდა, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ რამდენიმე მათგანმა უკვე ჩამოასხა ღვინო და

წარმატებით შემოვიდა ქართულ ბაზარზე.

წელს „ღვინის კლუბმა“ გააძლიერა კიდევ უფრო გააფართოვოს

ფესტივალის მონაწილეებს გადაეცემა სპეციალური სერთიფიკატები და „ღვინის კლუბის“ სამახსოვრო საჩუქრები.

ფესტივალისთვის გამოიცემა სპეციალური ორენოვანი კატალოგი, სადაც შესული იქნება ინფორმაციები მონაწილეთა შესახებ.

**ფესტივალში მონაწილეობის პირობები:**

ფესტივალში მონაწილეობა შეუძლია ყველა ოჯახური ღვინის მწარმოებელს.

ფესტივალში მონაწილეობის მსურველმა რეგისტრაცია უნდა გაიაროს არაუგვიანეს 2 მაისისა.

მონაწილე გაივლის შესარჩევ ტურს, „ღვინის კლუბის“ სპეციალური ჟიური შემოსული ნიმუშებიდან შეარჩევს 50 საუკეთესო ღვინოს, რომელიც დაიმუშავა ფესტივალზე. შესარჩევ ტურშიც და ფესტივალზეც წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ 2013 წლის მოსავლის ახალი ღვინო.

ტივალზეც წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ 2013 წლის მოსავლის ახალი ღვინო.

ფესტივალში მონაწილეობა ოჯახური მარნებისთვის უფასოა.

მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარადგინონ სადეგუსტაციო ნიმუში (2 მიწის ბოთლის ოდენობით) და შევსებული ანკეტა.

მონაწილეთა ვინაობა ცნობილი გახდება ფესტივალამდე 2 კვირით ადრე.

ფესტივალზე წარსადგენი ღვინის განსაზღვრული რაოდენობა შეადგენს მინიმუმ 10 ლიტრს.

სადეგუსტაციო ნიმუშები, თანდართული ანკეტით, უნდა მიიტანოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, საართული 14, ღვინის კლუბი. ტელ: 2180171 მობ: +995 599 351616 E-mail: info@wineclub.ge ნიმუშების მიღება წარმოებს ყოველ სამუშაო დღეს, 11:00—დან 17:00 საათამდე.



## სხოვრება შიშსა და სიდუხჭირეში



**(პირველი გვერდიდან)**  
ნამლებს ხმარდება. ვერ წარმოიდგენთ, როგორ წვალებით ვანაწილებთ ამ თანხას. ზაფხულში ქვეწარმავლები არიან ხოლმე, გასულ წელს ფანჯარასთან კედლის საძირკვლის ხვრელში შეძვრა და იმის შემდეგ სულ შეშინებული ვართ, - ამბობს იზოლდი ბუზალაძე-ლურსმანაშვილი.

ლურსმანაშვილების მეზობელი ეთერ ჭინჭარაული მარჩე-

ნალდაკარგული ოჯახის საარსებო პირობებზე ამახვილებს ყურადღებას.

„შექმდებიანდაგვარად მეზობლები ვენმარებით ხოლმე, მაგრამ ჩვენც სიდუხჭირეში ვცხოვრობთ, ხშირად აქეთ ვართ დასახმარებლები და მეზობლის თანადგომას სადამდე გავწვდებით. ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. მამის დღეულის შემდეგ, ყველაფერი საკუთარი თვალთა რომ ნახა, ამ ბავშვს შიშებიც აქვს,

დედის გარდა არავისთან არ ჩერდება, თავს ვერ ანებებენ და დასაქმებას ვერ ახერხებს, თორემ არ აქვს პრობლემა, ამბობს, რომ ნებისმიერ საქმეზე იმუშავებდა. სახლი არ აქვთ, სადაც ცხოვრობენ, ისიც თავზე ექცევათ, ნამლის ფულიც უჭირთ. ხელისუფლებას ვთხოვთ, რომ თუ სხვადასხვა სოფლებში სხვადასხვა სახის ერთჯერად დახმარებებს გასცემენ, იქნებ რაიმე გზებით

ამ ოჯახსაც დაუდგინონ გვერდით,“ - აღნიშნავს მეზობელი.

„ბავშვი პირველი ჯგუფის ინვალიდია და პენსიას იღებს, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ 16 წლისაა, პამპერს ხმარობს და ეს ფინანსურად ძალიან დიდ დარტყმას გვაყენებს. წინა ხელისუფლების დროს გამგეობაში დახმარების თხოვნით მივედი, იქნებ რაიმე დახმარება აღმოეჩინათ და უხეში პასუხი გამცეს, თუმცა არ მინდა დავაკონკრეტო ვინ იყო.

შემდეგ კიდევ შემომთავაზეს, სათნოების სახლით დახმარება, სიაში ჩაგნერეთო, მაგრამ უფასო კვებით სარგებლობას ვერ ვახერხებ. ბავშვს მარტო ვერ ვტოვებ, რომ საჭმლის ნაშოსალებად ყოველდღიურად სათნოების სახლში სიარული მოვახერხო, ეტლით კი ძალიან ძნელია ბავშვთან ერთად საკვებად ამხელა გზაზე ვიარო, არც ისე ახლოს ვცხოვრობთ სათნოების სახლის შენობიდან, თორემ რომ დავდიოდეთ, ძალიან დიდი შეება იქნებოდა ჩვენთვის, კვებაში მაინც რომ გვექონდეს შეღავათი. ახალ ხელისუფლებას ვთხოვდით, რომ იქნებ გვერდში ამომიდგინენ, ელემენტარულად არსებობა რომ მოვახერხოთ, იქნებ სახლი გვაძაგროთ, რომ შიშის გარეშე ვიცხოვროთ, სხვა არაფერს არ ვითხოვ,“ - აღნიშნავს მალხაზის დედა.

ჩვენი გაზუთის მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ორი-სამი წლის წინ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა ავარიული ბინების გამაგრების სამუშაოებისთვის ამგვარი კატეგორიის ოჯახებისთვის ერთჯერად ფინანსურ დახმარებას გასცემდა 500-700 ლარის ოდენობით. შემდეგ კი თვითმმართველობის ორგანომ მიდგომა შეცვალა და გადაწყდა, ასეთმა ოჯახებმა საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალონ და ყოველთვიურად ბინის ქირით ადგილობრივი ბიუჯეტიდან უზრუნ-

ველყონ. გაზუთის „შირაჟი“ დაინტერესდა, ამ მხრივ რა პერსპექტივა აქვს ლურსმანაშვილების ოჯახს და რა დახმარება იქნება შესაძლებელი. ამის გასარკვევად დედოფლისწყაროს გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსს ვანო ხელაშვილს ვესაუბრეთ.

„ამ წუთის მონაცემებით დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში 41 ოჯახი სარგებლობს ამგვარი დახმარებით, რომელთა ბინის ქირის საფასურს ადგილობრივი ბიუჯეტი ფარავს. სხვადასხვა კატეგორიის ოჯახები არიან ამ პროგრამაში ჩართულნი. თუ რომელიმე სოციალურად დაუცველი ოჯახი ავარიულ ბინაში ცხოვრობს, შეუძლია მმართველობის მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს და შემოიტანოს განცხადება. ამის შემდეგ, გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი შეამოწმებს ვითარებას, შეადგენენ აქტს და თუ დასკვნა დაიდო, რომ საცხოვრებელი სახლი მოქალაქეებისთვის საფრთხის შემცველია, ასეთ დროს მათი მოთხოვნა დაკმაყოფილება,“ - აცხადებს ვანო ხელაშვილი.

როგორც დედოფლისწყაროს გამგეობაში განმარტავენ, სხვადასხვა კატეგორიის ოჯახებისთვის ბინის ქირით უზრუნველყოფის მაქსიმალური ზღვარი 60 ლარის ფარგლებშია.

ილია მარტყოფილი



# ხალხი და მიღებული „დაუბებრავი მინიმუმი“ ....

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში რამდენჯერმე შემოგთავაზებთ თემა „დაუბებრავი მინიმუმი“ მიღების წესების შესახებ. 1 აპრილიდან უკვე ოფიციალურად დაიწყო მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებულ 600000 მოქალაქეზე ამ თანხების გაცემა. დღემდე ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს თანხების გაცემის პროცესი, თუმცა დიდმა ნაწილმა უკვე აიღო იგი. ანალოგიური სიტუაციაა ჩვენს მუნიციპალიტეტშიც. ამ პროცესის დაწყებას თითქმის ყველა ორგანიზაცია მომზადებული შეხვდა, თუ არ ჩავთვლით მცირე ხარვეზებს, რომლებიც მალევე გამოსწორდა. უფრო კონკრეტულად რომ გაგვეგონო, როგორ შეხვდა ამ პროცესს ჩვენი ქალაქის და სოფლების მცხოვრებლები, გადავწყვიტეთ პირადად გავსაუბრობოდით მათ:

**ლელა გილიაშვილი (კულტურის სამსახურის თანამშრომელი)** - ჩემთვის პირადად მისა-

სალმებელი ფაქტია, რომელსაც დიდი სიხარულით შევხვდით მთელი ოჯახი, უკვე დაგეგმილი გვაქვს, როგორ გამოვიყენოთ.

**თამარი, 57 წლის (მირზანი)** - ჩვენი ოჯახისთვის ეს თანხა ნამდვილი საჩუქარი იყო, ჩემი რძალი პედაგოგია და მას შეხვდა, მაგრამ ბანკის კრედიტი გვაქვს და მისი პროცენტების შესავსებად გამოვიყენეთ, ვისთვის როგორ არ ვიცი, მაგრამ ჩვენთვის ნამდვილი საჩუქარი იყო. მადლობა ყველა, ვინც ამ პროექტის განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა.

**ელზა, კედელო, 40 წლის** - მე მესმის, რომ ჩვენი ექსპერტების აზრი ამ საკითხზე სხვადასხვაგვარია, ამიტომ ეს თანხა ჩემმა ოჯახმა ძალიან კარგად გამოვიყენეთ ბავშვებისთვის. მადლობა მოვასხენებ ყველა მას, ვინც შედარებით დაბალხელფასიან მომსახურე პერსონალზე იზრუნა და მათი გასაჭირი გაითავისა.

**თატი, 23 წლის** - მე, მართა-

ლია, ჩემი ხელფასის მიხედვით, ეს თანხა არ მეკუთვნოდა, მაგრამ ძალიან მიხარია, დანარჩენმა საზოგადოებამ რომ მიიღო და სხვადასხვა სამახსოვრო ნივთების, აუცილებელი პროდუქტების თუ ვალეების დასაფარად გამოვიყენა და ცოტა ამოისუნთქა. ჩემი, როგორც იურისტის აზრით, მთავრობის მხრიდან ეს ძალიან თამამად და პოზიტიურად გადადგმული ნაბიჯი იყო. ხალხის სასიკეთოდ გაკეთებული ნებისმიერი რამ ღირს იმად, რომ მომავალში აიტანო თუნდაც იმ ექსპერტთა ნაწილის შენიშვნა, რომლებიც კრიტიკულად შეხვდნენ ამ საკითხს.

**ლია, 60 წლის** - მე ჯერ არ ამიღია, მოლოდინის რეჟიმში ვარ, მაგრამ უკვე დაგეგმილი მაქვს, ოჯახს როგორ მოვასხმარო. როგორც არ უნდა ძლიერი ოჯახი გქონდეს ადამიანს, დღეს ჩვენს ქვეყანაში ეს თანხა საკმაოდ სოლიდურია და მისი გამოყენება ბევრ რამეში შეიძლე-




ბა. მე მას საჩუქარს ვუნდებ. ასე ფიქრობს რაიონის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთან შეხვედრაც ჩვენ შევქელით. ვუერთდებით მათ სიხარულს, ვინც უკვე მოახერ-

ხა ამ თანხის აღება და მათ კი, ვინც ჯერ მოლოდინის რეჟიმშია, ვუსურვებთ, მალე მიღებას და სასიკეთო საქმეებში გამოყენებას.

**ელზა ხარაშვილი**

## იუბილარი



„კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალ-მობილისა“, და თუ მას ვინმე მათე და მარკოზიც გამოუჩნდება და ღირსეულ მეხოტბობას გაუწევს, ცხოვრება უფრო მშვენიერი და მიმზიდველი იქნება.

ჭეშმარიტად ვალმობილ ადამიანზე ქვემო ქედის საჯარო სკოლის პედაგოგზე, ასმათ ხომასურიძეზე მინდა მოგი-თხროთ. ოთხი ათეული წელია, რაც ის მასწავლებლის რთულსა და საპასუხის-

მგებლო საქმეს შეეჭიდა და ამ ხნის მანძილზე უსაზღვრო ენთუზიაზმით ეკიდება თანამდებობრივ თუ პედაგოგიურ საქმიანობას. სკოლის დირექტორის მოადგილედ ოცდაათწლიანი მუშაობის პერიოდში დაამტკიცა, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა... ასმათი მასწავლებლის ზოგადად რომანტიკული სულისათვის შეუსაბამო იყო სიმკაცრე და, ზოგჯერ ერთი შეხედვით ზედმეტი პრინციპულობა, მაგრამ თანამდებობრივი მდგომარეობა საშუალებას არ აძლევდა, ყველას და ყველაფრის მიმართ შემწყნარებელი ყოფილიყო. სკოლაში „რკინის ქალის“ სახელით იცნობენ, მაგრამ პირადი ურთიერთობისას აღმოაჩენ, რომ ფიზიკოსებში ყველაზე დიდი რომანტიკოსია და რომანტიკოსებში ყველაზე დიდი ფიზიკოსი.

ასმათ მასწავლებელი მამით იმერელია და დედით - ფშაველი. ამიტომ მასში თანაბრად არის შერწყმული ორი კუთხის ხასიათი: იმერული ტაქტი და სიხალსე და ფშაური სიღინჯე და პრინციპულობა. მამისადმი დიდი პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად

გვარი თიკუნად გაიხადა და ყველა, დიდი თუ პატარა ხომასურიძედ მოიხსენიებს. ზოგჯერ მოსწავლეებს, ხომასურიძე მასწავლებელიო, უთქვამთ. ეს „რკინის ქალი“ უკვე ათეული წე-

## ესაა კვალი ნათელი...

ლია, ოჯახურმა ტრაგედიამ გულჩვილ ადამიანად აქცია. 2004 წლის 8 მარტს შირაქის გზაზე მომხდარმა ავტოავარიამ იმსხვერპლა მისი ერთადერთი ძმა-ზურაბ ხომასურიძე, რომელიც ვაჟასეული „კაი ყმის“ რეალური პროტოტიპი იყო. დაიღუპა ზნეობისა და კაცურკაცობის ეტალონი. გულდათუთქული დისთვის ყოველი მარტის მოახლოება დიდი სულიერი ტანჯვა, უსაზღვრო ტკივილი და უღვევი ცრემლია...

ასმათ ხომასურიძის ოჯახი სოფელში ერთ-ერთი თვალსაჩინოა, როგორც პატიოსნების, სიკეთის და ზოგადად, ადამიანური ღირსების ნიმუში. სამწუხაროდ, მეუღლე-იოსებ ნათათრალაშვილი, ავადმყოფის სარეცელზეა მიჯაჭვული, რომელსაც გამოჯანმრთელებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ!

სამი შვილი და, ჯერჯერობით, ხუთი შვილიშვილი - ვისთვისაც ადამიანი ყოველგვარ დარდსა და ტკივილს უმკლავდება, ესაა მისი მონაგარი. 90-იანი წლების გაუსაძლის ვითარებაში სამივე შვილს უმადლესი განათლება მიაღებინეს. ია და ლია დედის პროფესიას გაყენენ, კობამ აგრარული ფაკულტეტი აირჩია. ფამთა სიავის გამო, კობა მეუღლესთან და სამ ქალიშვილთან ერთად კანადაში ცხოვრობს. ნოსტალგიით გულდაძმძიმებულს სანოლთან საქართველოს

რუკა გაუკრავს და სამშობლოზე ფიქრში ათენ-ალამებს. იმედია, უფალი ინებებს ივერიის გაბრწყინებას და ღირსეული მამულიშვილების შინ დაბრუნებას.

14 აპრილი ასმათ ხომასურიძის დაბადების დღეა. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა, მივულოცო ეს დღე და, როგორც ყოფილმა მოსწავლემ ვუთხრა, რომ ჩემი თაობისთვის ერთ-ერთი თვალსაჩინო და მისაბაძი იყავით. ჩვენ თქვენგან ვსწავლობდით არა მარტო საგანს, არამედ სიტბოს, სიყვარულს, თანადგომას და ყველაფერს, რაც ადამიანისთვის უძვირფასესი სამკაულია. როგორც უფროს კოლეგას გეტყვით, რომ თქვენს საკუთარ თავსაც აჯობეთ! თქვენთვის ამ პატარა სკოლის მართვა ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რისი უნარიც გაგაჩნიათ და, რაც მთავარია, დღესაც ძველებური შემართებით გვაძლევთ პროფესიონალიზმისა თუ ღირსების მაგალითს.

იცოცხლეთ დიდხანს თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად! არ მოგკლეთ ბოლოდღე თუ მაგიური ძალა, რომლითაც ადამიანების გულებს ანდამატივით იზიდავთ!

**ქვემო ქედის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლელა ღარაშვილი**

## სპორტი

კვირას, 6 აპრილს, ქ. ლაგოდეხში ჩატარდა სპორტის საერთაშორისო ფესტივალისადმი მიძღვნილი ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღო დედოფლისწყაროს „საბრძოლო ხელოვნებების ფედერაციაში“ გუნდის 6 კაციანი შემადგენლობით. მათ პირველი და მეორე ადგილები გადაიხაზილეს შემდეგნაირად:

- 1) სამხარაძე სანდრო-18წ. 65კგ. -| ადგილი
- 2) ზირაქიშვილი შოთიკო- 14წ. 55კგ.-| ადგილი
- 3) ზაბროდინი პეტრე-11წ.35კგ.-| ადგილი
- 4) ბონდარენკო ვოვა- 9წ.30კგ.-| ადგილი
- 5) ჩივაძე ვასიკო-17 წ.65კგ.-| ადგილი
- 6) გოგოშვილი ზურა- 13წ.50კგ.-| ადგილი

ამჯერად გუნდის ხელმძღვანელობა მიღწეული შედეგებით კმაყოფილია. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრი არ იყო გრანდიოზული მასშტაბების, მასში მხოლოდ 6 გუნდი ასპარეზობდა 60 კაციის შემადგენლობით, თამაში მაინც დაძაბულ ვითარებაში წარიმართა. დედოფლისწყაროს ახალგაზრდა გუნდმა თავი არ დაზოგა და შესაბამისი შედეგებით დაგვიბრუნდა.

ამჯერად ღონისძიებას თვითდაფინანსებით ორგანიზება გაუკეთა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოსა და საბერძნეთის დამსახურებულმა მწვრთნელმა მიხეილ სენიაშვილმა. გუნდი ახლა მთელი შემართებით ვარჯიშობს მომდევნო შეჯიბრებისათვის, რომელიც მისის ბოლოს გაიმართება თბილისში - „რესპუბლიკური ჩემპიონატი საქართველოს პირველობაზე“.

## დედოფლისწყაროში მარტოხელა მამაკაცის სახლი დაიწვა

ქალაქ დედოფლისწყაროში რუსთაველის ქუჩაზე, აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე 9 აპრილს ფიროსმანაშვილების ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი დაიწვა. თვითმხილველებს განმარტებით, ხანძრის კერა პირველ სართულზე ფიქსირდება, თუმცა ცეცხლი შენობის მეორე სართულზეც გავრცელდა.

როგორც დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსმა, გოგიტა ნასრამიშვილმა გავრცულ „შირაქს“ განუცხადა, სახლში, რომელიც მარტოხელა მამაკაცს ეკუთვნის, რამდენიმე დღეა არავინ ცხოვრობს. მისი მეპატრონე კი რამდენიმე კვირაა სამუშაოდ სხვა ქვეყანაში იმყოფება.

დაზარალებულის საცხოვრებელი სახლი სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობის წინ მდებარეობს. შემთხვევის ადგილზე დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი მივიდნენ.

ადგილზე სამაშველო ეკიპაჟები იყო მობილიზებული. ამ ეტაპზე ხანძრის გამომწვევი მიზეზები უცნობია. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მუშაობს.

ადგილობრივები ეჭვობენ, რომ რადგან სახლის მეპატრონე ალკოჰოლს ეძალებოდა, შესაძლოა, მის მიტოვებულ სახლში დასაღვევად ვინმე შევიდა, დათვრნენ და ხანძარიც ამ მიზეზით გაჩნდა.

**ილია მარტყოფლიშვილი**

## სოფელ გამარჯვებაში კლიმატის ცვლილების თემაზე სემინარი ჩატარდა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის ეკოკლუბი „მწვანე სიცოცხლე“-ს ტრენერმა, ამავე სკოლის მოსწავლე ლაშა კვირიკაშვილმა საგანმანათლებლო სემინარი ჩაატარა, სახელწოდებით: „კლიმატის ცვლილება და წყლის რესურსები“. ეკოლოგიური ხასიათის სემინარმა სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებში დიდი მოწონება და ინტე-

რესი გამოიწვია. ამგვარი აქტივობები გამარჯვების საჯარო სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება. სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში მოქმედ ეკოკლუბ „მწვანე სიცოცხლე“-ს ამავე სკოლის ბიოლოგიის პედაგოგი მაია პოპიაშვილი ხელმძღვანელობს. ეკო-კლუბები დედოფლისწყაროს სხვა სოფლების საჯარო სკოლებშიც მოქმედებს.



# ხელოვნება ადამიანებს აერთიანებს

„ხელოვნება ზნეობრივ ზეგავლენას ახდენს არა მარტო იმიტომ, რომ სიამოვნებას გვანიჭებს ზნეობრივი საშუალებების გზით, არამედ იმიტომაც, რომ ხელოვნების მიერ მინიჭებული სიამოვნება თვითონ წარმოადგენს გზას ზნეობისაკენ.“-ამბობდა მეთვრამეტე საუკუნის გერმანელი კლასიკოსი ფრიდრიხ შილერი. სწორედ ასეთი სიამოვნება მიანიჭა დედოფლისწყაროელ საზოგადოებას ამ დღეებში დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამართულმა გამოფენამ, რომელიც პატარა ხელოვანის, შვიდი წლის გიორგი ბოჭორიშვილის მიერ იყო წარმოდგენილი.

გიორგი დაიბადა და გაიზარდა დედოფლისწყაროში, ის დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეა. მისი ახალგაზრდა მშობლები მარიამ და აკაკი ბოჭორიშვილები ყველანაირად ხელს უწყობენ შვილის გამოავლინის შესაძლებლობების მაქსიმუმი და აღიზარდოს ნამდვილ ქართველ მამულიშვილად. „არც ხელოვნება არსებობს ვარჯიშის გარეშე და არც ვარჯიში ხელოვნების გარეშე“-ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა, პატარა შემოქმედის მუზის საწყისი კი, მისი ბებია გახლავთ, ქალბატონი მაყვალა ბოჭორიშვილი, რომელსაც შეუმჩნეველი არ დარჩენია შვილიშვილში ის მუხტი, რასაც მეცნიერთა აზრით „გამოუთქმელის შუამავლობა“ ანუ მხატვრობა და ბუნებისადმი ტრფიანი ჰქვია. სწორედ ქალბატონი მაყვალა გახლდათ ის ადამიანი, ვინც გიორგის მუშაობაში ეხმარებოდა და თავისი თანხაზის გამოძლევაზე და თუ ფრთხილად შეესხმამი დაეხმარა. ფანტაზია კი,

შვიდი წლის ბავშვისთვის მართლაც უსაზღვრო გახლდათ, რამაც დამთავლიერებლების გაცემა და აღფრთოვანება გამოიწვია. გამოფენის ნამუშევრებს შორის თქვენ შეხვდებით ფირაფს და სპილოს, ბავშვური თვლით დანახულ მგელს, სახლს და ბუნარს, ცისარტყელას და ყვავილებს, პეპლებს და ტიტებს, სოფლის გორებზე მდგარ ეკლესიას, სახლს, ეზოში მდგარ ძროხას და ცხვარს, რომელიც დანახვისთანავე თემატურად ფიროსმანის ფუნჯს ეხმარებოდა. თქვენ შეხვდებით თაბაშირის დაფაზე თაბაშირთვე გამოქანდაკებულ (საკმაოდ საინტერესოდ იყო აღქმული) მერცხალს, თევზს, ტრაქტორს, ბურატინოს, დათუნას და ასევე ქვებისგან და გორებისგან შესრულებულ კომპოზიციებს. აქვე გახლდათ მიხოს, კახელი გლეხი კაცის და ღამის შოუს ნამყვანის ირაკლი ტატოშვილის სახის გამოსახულებები, რომელიც ასევე თაბაშირ-შეპაკლით“ გახლდათ შესრულებული. არავინ ელოდა, თუ მცირეწლოვანი ხელოვანის შემოქმედებითი საზღვრები ასეთი მასშტაბური და მრავალფეროვანი იქნებოდა. გიორგი ბოჭორიშვილის გამოფენაზე რაიონის საზოგადოებამ იხილა პატარა ხელოვანის, როგორც საბავშვო გუაგა მესრულებული ნახატები, ასევე მინის, ქვის და თაბაშირით შესრულებული საკმაოდ საინტერესო და ბავშვის ასაკისთვის მრავალმთქმელი მინი სკულპტურები.

გამოფენაზე რაიონის თითქმის ყველა ორგანიზაციის თანამშრომელი გახლდათ, აქვე იყვნენ გიორგის მეგობრები კლასელები, მათი მშობლები, რიგითი მოქალაქეები. სტუმართაგან ყველა ერთ აზრზე იდგა და აღნიშნავდნენ,

რომ გამოფენილი ნიმუშების ხილვამ მოლოდინს გადააჭარბა. გამოფენის მასპინძელმა და ორგანიზატორმა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა-ქალბატონმა ლალი გურასაძემ აღნიშნა, რომ გიორგი ბოჭორიშვილის გამოფენა 9 აპრილის თარიღს დაამთხვავებს, რითაც მუზეუმი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გამოეხმაურა. მანვე აღნიშნა, რომ გიორგი ბოჭორიშვილის გამოფენა ერთ კვირას გასტანს და მუზეუმის კარი რაიონის საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლისთვის ყოველთვის ღიაა. საერთოდაც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ჩვენი რაიონის მუზეუმის ცხოვრება ბევრად უფრო აქტიური გახდა და უხვად გვანებიერებს ამგვარი შემოქმედი ადამიანების ნამუშევრების გამოფენებით, რისთვისაც მუზეუმის თითოეული თანამშრომლის ღვაწლი ნამდვილად დასაფასებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს გიორგი ბოჭორიშვილის რიგით მეორე გამოფენა გახლდათ, „პირველად გიორგი ბოჭორიშვილი „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს ახალგაზრდულმა ფრთამ შეინიშნა და გასულ ზაფხულს ჩვენი პარტიის დედოფლისწყაროს ბიუროს ახალგაზრდული ფრთის მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე მიიწვია, სადაც ასევე დიდი საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია.“-აცხადებს ჩვენთან საუბარში გამოფენაზე დასათვალისწინებელი მოსული „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი მაკა სულაშვილი. იმავე დღეს, ახალგაზრდა „შემოქმედს“ გიორგი ბოჭორიშვილს საზეიმოდ გაუჭრეს ტორტი და ეს დღე განსაკუთრებულად


აღნიშნეს.

ცოტა მოგვიანებით შემოუერთდა ამ გამოფენას მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, რომელიც გამოფენის ავტორთან, გიორგი ბოჭორიშვილთან ერთად ნამუშევრებს გულდასმით გაეცნო და პატარა შემოქმედს თითოეულ ნაწარმოებში ჩადებული შინაარსი დანვრილებით ჩაეკითხა. მანვე მოწონება და აღფრთოვანება ვერ დაძაბა ასეთი მრავალფეროვანი და საინტერესო შემოქმედის მიმართ.

ლევ ტოლსტი ამბობდა „ხელოვნება ადამიანთა გაერთიანების ერთ-ერთი საშუალებაა,“დავეთანხმები, რადგან იმ დღემ რაიონის საზოგადოება მართლაც გააერთიანა.

პატარა გიორგი ბოჭორიშვილს კი, ყოველმხრივ წარმატებებს ვუსურვებთ, სწავლაშიც და შემოქმედებით საქმიანობაშიც.

ლალი მხრიშვილი



# დიდელები და შვილიშვილები

ხშირად ვამბობთ ხოლმე, რომ ბავშვი წიგნია, რომელსაც ჩვენ ვკითხულობთ და ჩვენვე უნდა დავწეროთ, თუმცა, ადამიანი ვერასოდეს შედგება პიროვნებად, თუ მას წიგნთან თანაზიარობა და წვრთნა არაფრად უღირს. სწორედ პიროვნების ფორმირებას ემსახურება ისეთი პროფესია, რასაც პედაგოგობა ჰქვია. პედაგოგის მისია კი წინააღმდეგობაა, ის თავის აღსაზრდელებს წინ უძღვის. თუ როგორ მომართავს პედაგოგი თავისი მოსწავლეების წინსვლის საქმეს, ეს მის ნიჭზე და შემოქმედებითობაზეა დამოკიდებული. კარგი პედაგოგის დამსახურება ისაა, თუ როგორ წარმოაჩინოს მისი გამომწვრთნილი მოსწავლე საზოგადოებაში თავს. საზოგადოებაში თავის წარმოჩენის საუკეთესო ასპარეზი კი, პატარა აღსაზრდელებისთვის ჯერჯერობით სასკოლო ღონისძიებებია, რომელიც ბავშვობიდანვე აჩვენებს პატარებს საზოგადოებაში საკუთარი გონების პრეზენტაციით თავის დამკვიდრებას, კომუნიკაციას, სითამამეს, გახსნილობას და რაც მთავარია, კომპლექსებისგან გათავისუფლებას. ამ მხრივ საუკეთესოდ მუშაობს თავის აღსაზრდელებთან დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის მეორე კლასის პედაგოგი ქეთევან დავითაშვილი, რომელმაც თავისი მოსწავლეების ღონისძიებათა რიცხვს კიდევ ერთი ლამაზი დღე შესძინა. ამჯერად მან თავისი აღსაზრდელების ბებიები მოიწვია და შვილიშვილების ღონისძიებას დაასწრო. საზეიმო სცენარიც თემატურად სწორედ ბებიებს ეძღვნებოდა.

„ბებია ერთ-ერთი საუკეთესო პრივილეგიაა იმათ შორის, რაც ბავშვს შეიძლება ჰქონდეს“, -აცხადებს მთელი სერიოზულობით ბარბარა ალულიშვილი, „შესაძლოა ამ სიტყვებზე დამსწრე საზოგადოებას და ბებიებს პირზე ღიმილი ადგებათ და ეცილებათ, მაგრამ თუ კარგად ჩავუღრმავდებით შინაარსს, ნამდვილად არის მასში დიდი რეალობა და ღრმა აზრი.

აი, როგორ საინტერესოდ განმარტავს მეორეკლასელი გიორგი გველუკაშვილი ბებიის მცნებას - „ბებიებს მოსაყრობი არ უნდა ელეოდეთ. წიგნში ნაკითხული ამ ბები და ამბები შესავლით: მე რომ პატარა ვიყავი.. ისეთი ამბები, რომელთა ნამდვილობას შემოწმება არ აწყენდა.. ისეთებიც, რომელთა ნამდვილობა ბებოს ფიციითაა დამოწმებული. ბებიებმა უნდა იცოდნენ მღელღელს, ყოველი მცენარის, ხის, ფრინველის, მწერის, ცხოველის სახელები და თითოეულის დამახასიათებელი უცნაურობა, კიდევ ბებიები კეთილები, მგრძობიარენი და სამართლიანები უნდა იყვნენ.“

„- ძვირფასო ბები, მაღლობელი ვარ, რომ ქარგავ და ქსოვა მასწავლე. ღვეზელის გამოცხობა და ჩურჩხელის გაკეთებაც შენგან ვიცი, გმადლობ, რომ გამაცანი ფიროსმანი და პიკასო, დაუწინყარ გმირთა სახელებით უხერხული სიტუაციიდან თავის დაღწევა და მოხდენილობის ანბანიც შენ მასწავლე, დღითიდღე ვატყობ, ეს ყველაფერი მართლა გამომადგება, დღეს თუ არა ხვალ.“-გვიყვება ბარბარე ალულიშვილი... და მართლაც, ბებიისა და შვილიშვილის დამოკიდებულება

ხომ სულ სხვა გრძობაა, რომელზე უფრო თბილი, ტკბილი და სათნო დამოკიდებულება არ გაგონილა დედაშვილობის შემდეგ.

ღონისძიება დახუნძლული იყო ქართული ხალხური ცეკვებით და სიმღერებით. გოგონებმა და ბიჭებმა შეასრულეს ცეკვა-აჭარული, მთიულური და ქართული. ასევე შესრულდა სიმღერები. „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს“ და „ღვინოვ კახური“- ფანდურის თანხლებით არაჩვეულებრივად შეგვისრულა გიორგი გველუკაშვილმა. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“ კი, პატარებმა-თებრონი ლომსაძემ, ლალიანა უთრუთაშვილმა, გიორგი ვაირადაიანმა, ლუკა ჭუბაბრიამ, ილია და იოვანე შიუკაშვილებმა, გიორგი ალულიშვილმა, თემურ ნადიბაძემ, ნინო ნატროშვილმა და სხვებმა წარმოგიდგინეს პატარა სცენარი „ოლა ბებიას, ილიკოს, ილარიონსა და ზურიკელას“ შორის ზმნისა და კაცის პირიანობასთან დაკავშირებულ დიალოგსა თუ ნაწარმოების სხვა ადგილებიდან შერჩეულ სიუჟეტებზე.

ღონისძიებაზე პატარებს მოწვეული ჰყავდათ ჩვენთვის და მთელი რაიონის მოსახლეობისთვის საყვარელი მამაო, დეკანოზი- ნიკოლოზ ლომსაძე.

ზეიმი კლასის ხელმძღვანელის ქეთევან დავითაშვილის ბოლოსიტყვით დასრულდა, რაც მადლიერი მშობლების პედაგოგის მიმართ თბილი ოვაციებით დაგვირგვინდა.

ლალი მხრიშვილი





# ოფლი და მასთან დაკავშირებული პრობლემები

“პური შენი არსობისა, მოიპოვე ოფლითა შენითა”- ასე დაუნესა უფალმა ცოდვილ ადამიანს და მას შემდეგ ასე მოდის ათადან და ბაბადან. ოფლს ღვრი და ადამიანი მაშინაც, როცა ქვის ხანაში ცხოვრობდა და ოფლს ღვრის ახლაც 21-ე საუკუნეში, მაგრამ ოფლის ღვრის დოზებია სხვადასხვა: გლეხი, უფრო ზუსტად კი, მეურნე ადამიანი, მუდამ მეტ ოფლს ღვრის, ვიდრე ინტელიგენტი. თუ დავაკვირდებით, ადამიანები სოფლად და მთიან ადგილებში უფრო ხანგრძლივად ცოცხლობენ, ვიდრე დიდ ქალაქებში, სადაც ძირითადად, ავტოტრანსპორტით გადაადგილებიან. აქვთ თუ არა ოფლის ღვრასთან ამ ყველაფერს კავშირი, ჩვენ ექიმ-ენდოკრინოლოგს მარინა ეხბრინშვილს მივმართეთ:

საა-ეკრინული და აპოკრინული. -**რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?** -შემადგენლობით და ფუნქციებით. ეკრინული ჯირკვლე-

კუნთების მუშაობის ინტენსიურობის, ტემპერატურისა და მიღებული სითხის რაოდენობის მიხედვით. -**ახლანდელ მდგომარეობაში**

-რაზეა დამოკიდებული ოფლის შემადგენლობა? -ოფლის შემადგენლობა ორგანიზმის მდგომარეობასა და სისხლში არსებულ ნივთიერებე-

ბინების მიზეზი. მძიმე შემთხვევის დროს, შესაძლოა ადამიანი გარდაიცვალოს კიდევც. ექიმი - ფიზიოლოგი, რომლებიც ჰიდროთერაპიის განყოფილებაში მუშაობენ და პაციენტებს ორთქლის პროცედურებს უტარებენ აღნიშნავენ, რომ პირსახოცზე მწველები ნიკოტინის ყვითელ ლაქებს ტოვებენ.



**სოფა რამ ისტორიიდან**  
 ოფლის სუნს ადამიანი უძველესი დროიდან ებრძოდა. მაგალითად, რომაელები ილიის ქვეშ არომატული ბალახით სავსე სპეციალურ თოვრაკებს ითავსებდნენ. პირველი მადეზოდორირებული საშუალება ჩვეულებრივი სოდა გახლდათ - ის ანეიტრალურდა ბაქტერიების სიცოცხლისთვის აუცილებელ მუხე გარემოს. შემდეგ ალუმინის მარილების შემცველი პასტების გამოყენება დაიწყო, ხოლო ტერფებსა და ხელისგულებს ჭინჭელას მჟავას ხსნარით ან მუხის ქერქის ნახარშით იმუშავებდნენ. მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისში მოახერხეს მეცნიერებმა პირველი დეზოდორანტებისა და ანტიპერსპირანტების ფორმულების შემუშავება, თანამედროვე დეზოდორანტები კი გასული საუკუნის 50-იან წლებში გაჩნდა.  
 არ დაიჯერებთ და ოფლი სასიცოცხლოდ აუცილებელია. მისი გამოყოფა არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, ნეკროლიზიდან ბალანსს, გამოაქვს ორგანიზმიდან ნივთიერებათა ცვლის საშიში, ტოქსიკური პროდუქტები, მონაწილეობს თერმორეგულაციაში. მძიმე ფიზიკური დატვირთვისას და სიცხეში ოფლია ერთადერთი საშუალება, რომელიც ორგანიზმს გადახურებისგან იცავს. ძუძუს დეგრადების, ჭიპის ირგვლივ, ილიებისა და სასქესო ორგანოების მიდამოში მდებარეობს განსაკუთრებული ჯირკვლები - სუნის ჯირკვლები. სწორედ ისინი აფრქვევენ ჩვენთვის ქვეცნობიერ დონეზე ალსაქმელ არომატს - სხეულის სუნს. როცა ადამიანი უგუნებოდ არის, ეს სუნი უსამოვნოა (ეს ცხოველებსგან მეტყველებით მიღებული თავდაცვითი, შემამშინებელი ფუნქციაა), თუ კარგ გუნებაზეა - პირიქით.

აიურვიდა, უძველესი სამედიცინო დოკუმენტი, რომელიც სანსკრიტზეა დაწერილი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 568 წელს, ოფლის გამოყოფის პროცესს ადამიანის ჯანმრთელობისთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ოფლდენა ეფექტურია სურდოს ათორიტიკისა და თავის ტკივილის დრო-

## -ქალბატონო მარინა, რა არის ოფლი და როგორ გამოიყოფა იგი ორგანიზმიდან?

-ოფლი მნიშვნელოვანი კომპონენტია ადამიანის ორგანიზმში. ის უფრო, მარტივად სითხეა და უსამოვნო სუნი აქვს, მაგრამ ოფლდენა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზმის თერმორეგულაციაში და ტოქსიკაციაში, - სხეულს შლაკებისგან ათავისუფლებს, კანს კი, სისუფთავებსა და ელასტიკურობას უნარჩუნებს. ოფლდენა ორგანიზმისთვის ისეთივე პუნტირევი მოთხოვნილებაა, როგორც სუნთქვა და კვება. სამუხაროდ, ჩვენს დროში ადამიანთა უმეტესობა თითქმის თავისუფალია მძიმე ფიზიკური შრომისაგან და სათანადოდ ვერ ოფლიანდება. ამას ემატება რესპირანტების რეგულარული მოხმარება, დაბინძურებული ჰაერი, სინთეტიკური ტანსაცმელი და უმოძრაობა, რაც უარყოფითად აისახება ჩვენს ჯანმრთელობაზე. რაც შეეხება წარმომავლობას, მას გამოიმუშავებენ და გამოყოფენ საოფლე ჯირკვლები. რაც ამათუიმ სახეობისა და ინდივიდის სპეციფიკურ სუნს განაპირობებს. აქტიური საოფლე ჯირკვლების რაოდენობა ადამიანის სხეულის ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე საშუალოდ ასია. იგი ორი სახი-

ბი კანზე ყველგან არის, მაგრამ ძირითადად, ხელისა და ფეხის გულზე, (კვადრატულ სანტიმეტრზე 400) ასევე შუბლზე(კვადრატულ სანტიმეტრზე 300), ამ ჯირკვლებს აღიზიანებს სიმპატიკური ნერვული სისტემის ბოჭკოები, როცა ტემპერატურა მატულობს. რაც შეეხება აპოკრინულ საოფლე ჯირკვლებს, რომლებიც ილიებისა და საზარდულზეა, მხოლოდ ემოციური აგზნების დროს ღიზიანდებიან. მათი სეკრეტი(გამონაჟი) სპეციფიკური სუნისა და სასქესო ჯირკვლების მუშაობას უკავშირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელის გულები და ფეხის გულები არამარტო ტემპერატურის მომატების დროს, არამედ ემოციური აგზნების შედეგადაც ოფლიანდება.

## ფლე ჯირკვლების სეკრეტი (გამონაჟი) უძლიერესი ბუნებრივი ანტიბიოტიკი აღმოაჩინეს. ამაზე რას გვეტყვი?

-ოფლის ანტიმიკრობული ნივთიერებებსა დერემციდინი უწოდეს, ამ უძლიერეს ბუნებრივ ანტიბიოტიკს ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად პათოგონური მიკროსამყაროს შემოტევის შეჩერება შეუძლია. იგი ოქროსფერ სტაფილოკოკსა და ტუბერკულოზის მიკრობებსაც ანადგურებს. საერთოდ 1700-მდე სახეობის ბუნებრივი ნივთიერება არსებობს, რომლებიც მიკრობებს ებრძვიან. დაახლოებით 800-მდე ანტიმიკრობული პეპტიდი აღმოჩნდა სხვადასხვა ამოღების, კერძოდ, ბაყაყებისა და გომბეშოების კანზე. ამ მოკლე, ცილოვან მოლეკულებს ცხოველთა უჯრედები გამოიმუშავებენ მიკროორგანიზმთან საბრძოლველად და ამასთანავე, იმუნოსისტემის ერთ-ერთ კონპონენტსაც წარმოადგენენ. დერემციდინის ქიმიური სტრუქტურის შესწავლის დროს, მეცნიერები მიხვდნენ, თუ რატომ შეიცავს ადამიანის საოფლე ჯირკვლების სეკრეტი ასეთ ძლიერ ანტიბიოტიკს, -დერემციდინიც ანტიმიკრობული პეპტიდი აღმოჩნდა.

## ბზეა დამოკიდებული. მაგალითად დიაბეტი დაავადებულთა ოფლში გლუკოზა შედის, ცისტინურიის შემთხვევაში-ცისტინი, ზოგჯერ ერთროციტებიც გვხვდება. ოფლს სხეულიდან მეტაბოლიზმის პროდუქტები გამოაქვს - ვერცხლისწყლის მარილები (ნაწილობრივ, რკინა, სპილენძი, დარიშხანი და სხვა.) ოფლდენა ორგანიზმის ქიმიური ნონასწორობის შენარჩუნების მექანიზმია.

## - რა გვლენას ახდენს ორგანიზმზე კარგი ოფლდენა?

- ძველი რომაელები, შეხვედრისას, პირველ რიგში ერთმანეთის ჯანმრთელობით და ოფლდენით ინტერესდებოდნენ, ოფლდენა უაღრესად სერიოზული მეტაბოლური პროცესია. მისი გამოყოფა ორგანიზმებს ათავისუფლებს მრავალი ელემენტისაგან. მაგალითად: გამოყოფას რძემჟავას, რომელიც კუნთებში გროვდება და დალილობის მტანჯველ შეგრძნებებს იწვევს. ზედმეტი მარილის გამოდენა ხელს უწყობს არტერიული ნივთის დარეგულირებას. მეტაბოლიზმის პროდუქტების ორგანიზმიდან გამოდენის გართულება, მაგალითად შარდის, იწვევს ინტოქსიკაციას, რაც ხდება თავის ტკივილისა და ღე-

## საც. - საინტერესოა, რომ ფინეთში ქიმიურ წარმოებაში დასაქმებულ ადამიანებს საუნის პროცედურებით მკურნალობენ.

-ასეა, ცხელი წყლის პროცედურებს ოფლდენის ხელშეწყობაში დიდი როლი აქვს. ძველ დროში ექიმები თირკმელების დაავადების შემთხვევაში პაციენტებს აბანოში სიარულს ურჩევდნენ. მაგალითად საუნაში 15 წუთით რომ დაჰყოფი, ოფლი იმდენ მძიმე ელემენტებს გამოიტანს ორგანიზმიდან, რომელთა გამოსაყოფად მარტო თირკმელებს 24 საათი სჭირდებათ.

... როგორც ნახეთ ძვირფასო მკითხველებო, ოფლდენა უაღრესად საჭირო და აუცილებელი ყოფილა ჩვენი ჯანმრთელობისთვის, საუნაში ჩვენ ვერ ვივლით, მაგრამ სხვა გზებიც არსებობს ოფლის გამოსაყოფად. დალიეთ დღეში ორი- სამი ლიტრი წყალი, დილით უზმოზე ორი ჭიქა, ძილის წინ ერთი ჭიქა და ნუ მოერიდებით ფიზიკურ შრომას და ინტენსიურ ვარჯიშს. ასე, რომ მოიპოვეთ ოფლით არა მარტო პური თქვენი არსობისა, არამედ ჯანმრთელობაც.  
**ესაუბრა ნაირა გორაშვილი**

# ექიმის რჩევები

## ჭარბოვლიანობისას როდის უნდა მივმართო ექიმს?

როდესაც სუნი, მიუხედავად აქტიური ჰიგიენური ღონისძიებებისა, არ ქრება და მას ირგვლივ მყოფებიც შეიგრძნობენ;  
 როდესაც სუნი იმდენად ძლიერია, რომ თავადაც შევიგრძნობთ;  
 თუ ოფლს დაჰკრავს მოტუბო ან ხილის არომატის მსგავსი სუნი;  
 თუ ბავშვს სქესობრივ სიმწიფემდე არ მიუღწევია, მაგრამ სუნიანი ოფლი აქვს. ხშირია ტერფებისა და ილიების ჰიპერჰიდროზი, რაც ადგილობრივი თბორეგულაციის დარღვევის შედეგს წარმოადგენს.  
**თუ ტანი გიოფლიანდება:**  
 ყოველდღე იბანეთ. გამოიყენეთ ანტიბაქტერიუ-

ლი საპონი.  
 ეცადეთ, დღის განმავლობაში ილიისქვეშა და ნაოჭების მიდამოები ნაჭრით ან ქაღალდის ხელსახოცით გაისუფთაოთ. ამ გზით მოიძორებთ მკვდარ ქსოვილებს და ბაქტერიებს, რომლებიც სუნის წარმოშობაში მთავარ როლს ასრულებენ.  
 გამოიყენეთ დეზოდორანტები.  
 გამოიყენეთ საშუალებები, რომლებიც აქვეითებენ ოფლის სეკრეციას.  
 გამოგადგებათ ტალკი, საჭმელი სოდა, საბავშვო ტალკი, კარტოფილის ფქვილი - თუ მათ პრობლემურ ადგილებზე მიიფრქვევთ, სისველეს შთანთქავენ და სუნს ჩაახშობენ.  
 ეცადეთ, ჩაიცვათ ნატურალური ქსოვილის ტანსაცმელი (განსაკუთრებით - საცვლები). გარეცხეთ

ისეთი საშუალებებით, რომლებიც სუნს სპობს. აუცილებლობის შემთხვევაში ქვედა საცვალი გამოიცვალეთ უშუალოდ შინიდან გასვლის წინ.  
 აუცილებლად მოიშორეთ თმა ილიისქვეშა ფოსოდან - სწორედ მასზე გროვდება ოფლი და ბაქტერიებისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.  
 ერიდეთ ცხარე და ტკბილ საკვებს. ნივრანი და კვლიაიანი საკვების მიღების შემდეგ ოფლს მკვეთრი სუნი ეძლევა. ზოგჯერ ეს ეფექტი საკვების მიღებიდან 24 საათის განმავლობაშიც კი გრძელდება.  
**თუ ფეხები გიოფლიანდება:**  
 ყოველდღე იბანეთ თბილი წყლით.  
 ატარეთ სუფთა, ნატურალური ქსოვილის წინდე-

ბი. გამოიცვალეთ ყოველდღე.  
 ტერფებზე წაისვით კრემი, რომელიც შეიცავს მკვებავ და მადეზოდორირებელ ნივთიერებებს, მაგალითად, გლიცერინს.  
 მოათავსეთ წინდაში რამდენიმე ჩაის ფოთოლი. ჩადეთ ფეხსაცმელში და 1-2 დღე დატოვეთ. ფეხსაცმლიდან უსამოვნო სუნი გაქრება.  
 ეფექტიანია ფეხის სპეციალური დეზოდორანტიც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ისხუროთ იგი თითებს შორის.  
 ეცადეთ, ფეხები ყოველთვის ნატურალური ქსოვილის ტილოთი გაიმშრალოთ.  
 გადაივლით ფეხებზე მუქი ჩაის ნაყენი. ჩაიში შემავალი ტანიინები ამცირებენ ოფლის გამოყოფას.





მონატრეზა

თაგა (ბათია) ტუსაშვილი



ჩვენო საყვარელო ბათია, გილოცავთ დაბადების დღეს- 47 წლის გახდებოდა, ძვირფასო. შენი წასვლით დიდი გულის- ტკივილი დაგვიტოვე...

გაზაფხული ტკივილით მოვიდა ჩვენთვის, ეს ტკივილი ყოველთვის აპრილის მოსვლასთან ერთად გვიმდაფრდებდა. ცხოვრება წუთისოფელი კი არა, წამისოფელი ყოფილა...

ახლა კი ამ სასიხარულო დღის ნაცვლად საფლავის შემკობისა და ქვაზე ამოტიფურული შენი სურათის მოფერების გარდა არაფერი დაგვრჩენია.

როგორ მოგერის სიკვდილი ბუმბერაზ კაცს, როგორ მიენდე მის მზაკვრულ ჩანაფიქრს. შენ მაგალითი ხარ სიყვარულით გაუღენილი გულის მქონე, კეთილი ქართველი კაცისა...

უღმბებელმა სიკვდილმა ნაგვართვა შენი თავი, ბევრი ლამაზი და დაუფინყარი დღე გეჩრუქა ერთად გატარებულმა განვლილმა წლებმა...

სიკვდილი შენისთანებისთვის სიცოცხლის გვირგვინია, ლამაზ ფერებად რომ გადადნე მარადისობას. არიან ადამიანები, რომლებიც ამქვეყნად მოსვლით ცხოვრებაში ლამაზ კვალს ავლებენ...

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული. შენს სახელს დაფინყება არ ენერია, რადგან შენთან ერთად გატარებული წლები წარუშლელ კვალს ტოვებს.

გპირდებით, სანამ ცოცხლები ვართ, ლოცვას არ მოგაკლებთ. მოვალთ შენს საფლავთან, დაგინთებთ წმინდა სანთლებს, იქნებ ასე უფრო შეგვიმსუბუქდეს ის ტკივილი, რასაც უშენობა ჰქვია.

შენი ოჯახი.

ვლადიმერ ძისტაური

ყველაზე საშინელი განცდა დედისათვის, აილო კალამი და წერა დაიწყო იმ უმწარეს უბედურებაზე, რასაც შეილის სიკვდილი ჰქვია...

ხოლო შენი პატარა ლადიკო, რომელიც შენ დედის მუცელში დატოვე, დეკემბერში 4 წლის გახდება.



დედაშენი.

ბელა არაბული



ჩემო ბელა, 9 თვეა, რაც უკუჩრებელმა სენმა შენი თავი გამოგავალა. დატოვე შენი ერთა რეზო უნუგემოდ. ბევრს ეცადა, მაგრამ არ დაუფასდა...

გომო, კარგო დედავ, კარგო დიასახლისო, მუდამ ღიმილიანო, განუმეორებელი შენი ქცევით, ფუტკარივით მოფუსფუსე...

შენი მამიდაშვილები: ეთერ, მინდა, ნათია, ლია ლიძოკაძეები

ზაზა კოპიაშვილი



როგორ იცრემლება აპრილი... დედის ცრემლებად განვიმდებ შენს საფლავზე, ზაზა. 27 წლის ჩამქრალ სიცოცხლეს ეალერსებანიავი, ქრისტეს ღვთაობას გახარებს.

2006 წლის 24 აპრილს, აღდგომის დღესასწაულზე, ბრწყინვალე შვიდეულის პირველსავე დღეს, გაგილო უფალმა სასუფეველის კარი და შენც ნაღვლიანად გაუყვი ზეცისკენ მიმავალ ბილიკს აუხდენელი ოცნებებითა და ფიქრებით.

8 ტკივილიანი წელი გავიდა, ჩემო ზაზა, რაც უფალმა ამ წუთისოფელს გაგარიდა და გულში ჩაგიკრა. 8 წელი დიდი დროა, შვილო. სიზმარში მაინც მოდი დედასთან, ჩემო სიცოცხლე, იქნებ სიზმარში მაინც შევიგრძნო შენი სითბო...

„ღღეს ღამე მოჭყევა, ცრემლს ჩემი სეფა, სიწმინდე მოსული მოგეფერები, არ დაიდარდო, დედა...“

გაუსაძლისია დედი, უშენობა. რა წამს შენ სახლში საკაცით შემოგიყვანეს, იმ დროს დედაც მოკვდა, შვილო, მას შემდეგ შენთან მოსვლას სულმოუთქმელად ველი, ჩემო ზაზა.

„უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყაღე მე ცოდვილი“.

სწორედაც რომ ცოდვილი ვარ, შვილო და მადლობელი ვარ უფლისა, რომ ამას ვხვდები და ვაცნობიერებ. დიდი იმედი მაქვს, უფალო, რომ ჩემს შვილს შევხვდები და სამარადუამოდ ერთად ვიქნებით.

შენი ოჯახი.

შენ მოდასუთი გაზაფხული იკარა მხოლოდ...

ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება ამქვეყნად. შენი უცარი გარდაცვალებაც, ალბათ, ღვთის ნება იყო. დედა გენაცვალოს და დედა მოგიკვდეს, ჩემო ვაჟკაცო.

ძალიან იჭირს სიცოცხლე, შვილო, მიჭირს უშენობა. ამ სახლს მიღმა ისევე ჩვეულებრივად მიედინება ცხოვრება, თითქოს არაფერი მომხდარიყო. შენ შენი სიკვდილით სიცოცხლის სურვილიც დამიკარგე და სიკვდილის შიშიც...

სიცოცხლე გრძელდება, მაგრამ შენი მშობლებისთვის, შენი ძმისთვის, რომლის თვალბეჭდს ისევე ცრემლის კვალია, სიცოცხლე გაქრა, დაიფერვლა, ტკივილსა და მონატრებაში მიდის დრო, მიდის და დიდ სევდას ტოვებს.

როგორ მენატრები, ჩემო ზაზა, როგორ მენატრება შენი ღიმილი, სიცილი, საუბარი და შენი გაბრაზებაც კი. ჩემო უდროოდ წასული, შვილო, ყველას ძალიან ენატრები: შენს ძმას, მშობლებს, შენს ნათიას და საფიცარ ლიკას, რომელსაც სიზმარივით ახსოვხარ. ენატრები გოჩიკოს, ბებიებს, ბიძებს, ბიზაშვილებს, მამიდაშვილებს, ახლობლებსა და მეგობრებს.

უფალი მადლიერებს და მადლებინებს ამხელა ტკივილს, მთელი გულით ვლოცულობ შენთვის. მჯერა, რომ ცათა სასუფეველში ხარ. ვეცდები, მწარე ცრემლებით შენი წმინდა სული არ დავამძიმო.

მე და ნათია ყველაფერს ვაკეთებთ შენი სულის საოხად, რათა შენმა სულმა დაიმკვიდროს სასუფეველი, ადგილი, სადაც მართალნი განისვენებენ.

დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადისობაში. მსუბუქი იყოს შენთვის ეს მინა, რომელმაც დედის მაგივრად ჩაგიკრა გულში.

მადლობა უფალს, რომ ქრისტეს გზაზე დამაყენა.

შენი ოჯახი.

ჰეიტორ შიუკაშვილი



მამა, 10 აპრილს უკვე 40 დღე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ, თითქოს არ გვეჯერა, ყველაფერი ისეთი მოულოდნელი იყო. გელოდებით, გვგონია, რომ ისევ ისე დინჯად...

შემოაღებ კარს. ძალიან გვაკლიხარ შენს შვილებს, შვილიშვილებს, განსაკუთრებით ავადმყოფ დედას, რომლის იმედიც შენ იყავი. მთელს რაიონის დააკლდი, მამა. თურმე ყველას როგორ ჰყვარებიხარ... ძალიან გვენატრები, შენს სახელს არასოდეს დაივინებენ შენი შვილიშვილები.

მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

ზეიმა და ლენა ყაჭაშვილები იუნყებიან მამიდის მარიამ შიუკაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ნანი ოქროპირიძეს და ნელი ღვინიაშვილის ოჯახებს.

ბიჭიკო ალადაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს, ნანი ოქროპირიძეს, ნელი გოჩა, და მიშკო, ღვინიაშვილებს მარიამ შიუკაშვილის გარდაცვალების გამო.

შვილები: მაცვალა, ვასილი, სიძეები: გიორგი მანაგაძე, შმაგი ლაპიაშვილი, რძლები: ნუნუ ჯანაშვილი, მაცა ილაური, ეკა გელაშვილი, შვილიშვილები: ეკა, ამირანი, ლანა მანაგაძეები, გიგი და ვალერი მადლარაშვილები, შვილთაშვილები, იუნყებიან მერი მადლარაშვილის გარდაცვალებას. დაიკრძალა 8 აპრილს, სოფელ ზემო მახხანში.

ნაზი მოსაშვილი, ილიკო და ვანო ბიკაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნანი ოქროპირიძეს, ნელი, გოჩა და მიშკო ღვინიაშვილებს მარიამ შიუკაშვილის გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: ზურაბ იაკობიშვილი, ლია ჩუბინიძე, ირინა კაისაძე, მადლენა ყოჩიაშვილი, ქაბაქა ალუღიშვილი, თანაგრძნობას უცხადებენ ომარ ჩალახეშაშვილის ოჯახს მამის ზაურის გარდაცვრლების გამო.

გურამ ნიკოაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, ლილი გონაშვილი, ნორა სულაშვილი, სოსო გოგაშვილი, ომარ ალადაშვილი, გია გონაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, დავით რამაზანაშვილი, ბერდო ნასრაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნელი, მიშკო, გოჩა ღვინიაშვილებს, ნანა, მაია, ლალი ოქროპირიძეებს დედის და ბებუის მარიამის გარდაცვალების გამო.

შვილები: ნანი ოქროპირიძე, ნელი ღვინიაშვილი, შვილიშვილები: გოჩა, მიშკო ღვინიაშვილები, მაია და ლალი ოქროპირიძეები ოჯახებით იუნყებიან მარიამ შიუკაშვილის გარდაცვალებას. დაიკრძალა დედოფლისწყაროში ალადაშვილის ქ №4 ში 12 აპრილი 2014 წელი.

მეზობლები: გივი ლომიძე, ნოდარ გვიშვილი, გივი სახბაზოვი, ალიკა სულაშვილი, მადლენა ყოჩიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნელი ღვინიაშვილის ოჯახს დედის მარიამ შიუკაშვილის გარდაცვალების გამო.



# DeSheli

# მკირადღირებული კოსმეტიკა თუ კარგად დაგეგმილი თაღლითობა?

გაგივიტა კომპანია "დეშელი"-ს (DeSheli) შესახებ? თუ არა, მაშინ ეს სტატია აუცილებლად ბოლომდე წაიკითხეთ, რათა უნებლიეთ თაღლითობის მსხვერპლი არ გახდეთ. რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროში ჩემს ახლობელ ტელეფონზე დაურეკეს. მან საკმაოდ აგრესიული ტონით უპასუხა, რაც ჩემთვის მოულოდნელი იყო, რადგან ეს ადამიანი კულტურისა და ადამიანებთან ურთიერთობის დევიციტს ნამდვილად არ უჩივის. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მას აღნიშნული კოსმეტიკური კომპანიიდან უკავშირდებოდნენ. ის მათი აფიორის შესახებ უკვე ინფორმირებული იყო, რადგან ამ სტატიაში ქვემოთ მოთხრობილი ისტორია მის მეგობარსაც გადახდა თავს. გაზეთი „შირაჟი“ დაინტერესდა და აღმოჩნდა, რომ მსგავსი თაღლითობის მსხვერპლი არაერთი ქართველი ქალბატონი გახდა. ერთი დედოფლისწყაროელი გოგონა კი აფიორას იმ მიზეზით „გადაურჩა“, რომ თბილისში არ იმყოფებოდა. აი, რა ინფორმაცია მოვიპოვეთ ინტერნეტ-სივრცეში:

ფეისბუქზე, ერთ-ერთ დახურულ ჯგუფში, სადაც რამდენიმე გოგონა ვართ განხილავთ, ერთ-ერთმა, 23 წლის ნინომ, ასეთი ამბავი დაწერა: "ძალიან უცნაური ამბავი მოხდა ცოცხალი ხნის წინ. დედაჩემი გახდა თაღლითობის მსხვერპლი. თუ გაიგებთ, რომ ვინმე თქვენს ნაცნობს ურეკავს ვინმე კომპანია "დეშელიდან", გააფრთხილეთ, არ მივიდეს უფასო კონსულტაციაზე. დედაჩემი მივიდა და არ ვიცი რისი გამოყენებით, მაგრამ ალერგიის საფარული, რომელიც უფასოდ, სასინჯად წაუსვეს, ნარკოტიკული ნივთიერებები იყო. ინტერნეტში დაქვებნი და უამრავი დაზარალებული არსებობს რუსეთში, სხვა ქვეყნებშიც. ძალიან გაბრაზებული ვარ და არ ვიცი რა ვქნა. ცხოვრებაში მაკიაჟი არ მოუხმარია და ყველაზე მეტად სესხის ემინია, მაგრამ აილო სესხი მაკიაჟის გამო: 2800 ლარი. სულ 10 კრემია და ჯამში მაგდენი გამოდის. მართლა არ ვიცი, როგორ დაითანხმეს ეგეთ რამეზე. ცხოვრებაში არაფერი წაუსვამს სახეზე. თან არც ვიცი, მაგ ფასის შესაბამისი პროდუქცია არის თუ არა. რაც უნდა იყოს, სესხის ალბა მაკიაჟის გამო? ეს არის ისეთი აბსურდი, რომ შოკში ჩავვარდი, რომ გავიგე. ეს არის ქალი, რომელიც მარშუტკით არ დადის, რადგან მარშუტკები ეძვირება და ფეხით გადაადგილდება ხოლმე შორ მანძილზე ფულის დაზოგვის მიზნით. იმ კოსმეტიკას მაინც ვერ გამოიყენებ. როგორც ნავიკითხე, ძალიან, ძალიან აქტიურ ნივთიერებებს შეიცავს, რომელიც მაშინვე, პროცედურაზევე გაძლეულს შედეგს, რომ ჩქარა იმოქმედოს გაყიდვის გადამყვებლობაზე, მაგრამ თუ ხანგრძლივად გამოიყენებ, საშიხელ ალერგიას იძლევა. ათასი რაღაც ნავიკითხე. არც დედაჩემია მაინცდამაინც გულუბრყვილო, მაგრამ გაება. პრინციპი ასეთია: ვიღაცას მიიყვანენ, სთხოვენ, დატოვოს რამდენიმე ნომერი, მერე მათ ურეკავენ და ასე შემდეგ. ზოგჯერ სხვებსაც ურეკავენ და ატყუებენ, რომ მეგობარმა უფასო მასაჟზე ჩაწერა. სავარაუდოდ, ის ბაზები იყიდეს, რომლითაც გვსამაგვენ ხოლმე მობილურზე ამბოლები და ტექნოლოგიები. მანამდე არ გეშვებია, სანამ არ მიხვალ. თან პასპორტის და პირადობის გარეშე ვერ მიხვალ. სულ გაფრთხილებენ ტე-

ლფონშივე, რომ თან გქონდეს და რომ მიდიხარ, გართმევენ და მიაქვთ, რომ ჩქარა დაიწყონ მონაცემების შევსება. ანუ თუ არ მიიტან, არც გაგიკეთებენ პროცედურას და ვერაფერსაც ვერ გააკრევე. რაღაც ჩანანური ვნახე, სადაც ჩანს, როგორ ესაუბრებიან კლიენტს. ძალიან ბევრჯერ იმეორებენ ერთსა და იმავეს, სიტყვას არ გაათქმევენებენ და თვითონ კოსმეტიკაც მოქმედებს მგონი. რა თქმა უნდა, ვერ დააბრალებ რამეს, მაგრამ ყველა პირობას გიქმნიან, რომ უარი ვერ უთხრა. მერე მხოლოდ ნახევარ სახეზე გისვამენ ამ კრემებს. სესხის

წინოს ნათქვამმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ალბათ ცოცხალი დაუფერებლადაც მოგვეჩვენებოდა, დანარჩენებსაც რომ არ დაენწყით საკუთარი ან გარშემომყოფების გამოცდილების გახსენება. მარი, 26 წლის: "მე თმა სადაც ვიკეთებ, იმ სალონში შემხვდა ერთი გოგო და ავიღე, კარგადაა, უფასო კოსმეტიკური მომსახურება მოყვებაო და რა კრემებიც იყიდა მთელი წელი უნდა მეყოსო. კმაყოფილი იყო. საინტერესო კიდევ, დედაჩემს დაურეკეს, ვიღაცამ ჩაგწერა უფასო მასაჟიო. კიდევ ჩემი დის თანამშრომელმა გოგომაც ეგრე თქვა, უარი ვერ ვთქვიო და როგორ ახერხებენ? ალბათ თბილი მოპურობით, კარგი გარემო და შიკით გახვევენ თავბრუს, მოგწონს და თანახმა ხარ" მანიკო, 29 წლის: "ვაიმე, ჩემი თანამშრომელი იყო მგონი მანდ. მერე მე მირეკავდნენ და ძლივს დავარწმუნე, რომ არ მინდოდა. ვიკითხე ჩემთან, ჩემ გარდა კიდევ რამდენიმეს დაურეკეს იგივენიარად, რამდენჯერმე, ბოლოს საათები ურჩიეს. მარა ბავშვებიანი არიან და არ წავიდნენ. ვინც იყო, ის იძახდა თურმე, იმდენი მელაპარაკნენ და ბოლოს ისე უხერხულად ვიყავი, ისედაც ბევრი ვიკითხე რომ არ მეწონოდა, ალბათ შევიძენდი იმ კრემებსო."

სალონი, 31 წლის: "ერთ-ერთ ჯგუფში წერდა ქალი, რომ იყო მანდი, ძალიან მაგრად მოემსახურნენ, მაგრად აბოლებდნენ, მაგრამ ვერ აიტოვებს 3000-ის გადახდა. ჩემს უფროსსაც დაურეკეს რამდენჯერმე. აგრესიული მარკეტინგია და დაბოლება. ტელეფონზე რომ გეუბნებიან, თქვენმა მეგობარმა გაჩუქათ ეს პროცედურა უფასოდო, ტყუილია. ჩაეძია ჩემი უფროსი და სახელი არ უთხრეს და არც არავინ ეგულება მისი მეგობრებიდან, ვინც ჩანწერებდა სახელს და არ გააფრთხილებდა." ქაიტი, 25 წლის: "ახლა ველაპარაკე დედაჩემს და მოუყევი ეს ამბავი, რომ მე-თქი ესე და ესეა და ფრთხილად იყავი. მითხრა, რომ ორი დღეა, ვიღაც გოგო ურეკავს მაგ კომპანიიდან. რაც უფრო მეტს ვეუბნებით ამის შესახებ, მით უფრო მეტი გეუბნება, რომ მასაც დაურეკეს. ჩვენი თანამშრომლის ახლობელს დაურეკეს და ისიც კი იცოდნენ, რომ რუსულ ენოვანია ის ქალი და რუსულად დაიწყეს ლაპარაკი. ჩემი მეგობრის დედამაც თქვა, დამირეკეს მაგ კომპანიიდან და ასე მითხრეს, უფასო მასაჟზე ხარ ჩაწერილიო. მერე მკითხეს ალერგიული ხომ არ ხართ იმიტომ, რომ შეიძლება ალერგია მოგცესო და მაგითომ აღარ წავედი, თორემ ვაპირებდიო..." ხატია, 36 წლის (8 თვის ორსული): "უი, ახლა გამახსენდა, დამირეკეს 1 თვის წინ და შემომთავაზეს სახის ნილაბი, მასაჟი და ა.შ. რომ ვუთხარი ორსულად ვარ-მეთქი, კარგი მაშინ, სხვა დროს შეგეხმებიანო."



ნოუს საიტები მოგვითხრობენ, რომ "დეშელის" საქმიანობა მთლიანად აგრესიულ მარკეტინგზეა დაფუძნებული. რუსეთში უამრავი უკმაყოფილო მომხმარებელი ჩივის. ისინი ეჭვობენ, რომ კომპანია კლიენტების დასარწმუნებლად ნეიროლინგვისტურ პროგრამირებას იყენებს. გარდა ამისა, არსებობს ეჭვი, რომ პროდუქციის ხარისხი მის ფასს მთლად არ შეესაბამება.

სრულ თანხას არც გეუბნებიან. მხოლოდ იმას ამბობენ, რომ თვეში 100 ლარს გადაიხდი. დედაჩემს რცხვენია, რომ მოტყუვდა და მთხოვა, არ დაწერო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ მოვითმინე. ორი წელი უნდა იხადოს სესხი მაგ აფერისტიკის გამო. უკვე 2 ადამიანი ვიცი დედაჩემის გარდა, ვისაც იგივე შეემთხვა. როგორც კი გამოდიან, მაშინვე ხვდებიან რაც მოხდა, მაგრამ უკვე ყველაფერზე აქვთ მონერილი ხელი. მისვლა მინდა, გასარკვევად, და მართლა მეშინია, მეც რამე ეგეთში არ გამხვიონ. თან ყველა ქართული ბანკი იქ ზის. დედაჩემს თბილისში მისცა სესხი. გრატომი სხედან. სავაჭრო ცენტრში. ყველაფერი ძალიან საეჭვოა. იურისტებიც ჰყავთ, რომელიც გეკითხება რაღაცებს. უცნაური არაა ეს?"

თანამშრომელი იყო მგონი მანდ. მერე მე მირეკავდნენ და ძლივს დავარწმუნე, რომ არ მინდოდა. ვიკითხე ჩემთან, ჩემ გარდა კიდევ რამდენიმეს დაურეკეს იგივენიარად, რამდენჯერმე, ბოლოს საათები ურჩიეს. მარა ბავშვებიანი არიან და არ წავიდნენ. ვინც იყო, ის იძახდა თურმე, იმდენი მელაპარაკნენ და ბოლოს ისე უხერხულად ვიყავი, ისედაც ბევრი ვიკითხე რომ არ მეწონოდა, ალბათ შევიძენდი იმ კრემებსო."

სალონი, 31 წლის: "ერთ-ერთ ჯგუფში წერდა ქალი, რომ იყო მანდი, ძალიან მაგრად მოემსახურნენ, მაგრად აბოლებდნენ, მაგრამ ვერ აიტოვებს 3000-ის გადახდა. ჩემს უფროსსაც დაურეკეს რამდენჯერმე. აგრესიული მარკეტინგია და დაბოლება. ტელეფონზე რომ გეუბნებიან, თქვენმა მეგობარმა გაჩუქათ ეს პროცედურა უფასოდო, ტყუილია. ჩაეძია ჩემი უფროსი და სახელი არ უთხრეს და არც არავინ ეგულება მისი მეგობრებიდან, ვინც ჩანწერებდა სახელს და არ გააფრთხილებდა." ქაიტი, 25 წლის: "ახლა ველაპარაკე დედაჩემს და მოუყევი ეს ამბავი, რომ მე-თქი ესე და ესეა და ფრთხილად იყავი. მითხრა, რომ ორი დღეა, ვიღაც გოგო ურეკავს მაგ კომპანიიდან. რაც უფრო მეტს ვეუბნებით ამის შესახებ, მით უფრო მეტი გეუბნება, რომ მასაც დაურეკეს. ჩვენი თანამშრომლის ახლობელს დაურეკეს და ისიც კი იცოდნენ, რომ რუსულ ენოვანია ის ქალი და რუსულად დაიწყეს ლაპარაკი. ჩემი მეგობრის დედამაც თქვა, დამირეკეს მაგ კომპანიიდან და ასე მითხრეს, უფასო მასაჟზე ხარ ჩაწერილიო. მერე მკითხეს ალერგიული ხომ არ ხართ იმიტომ, რომ შეიძლება ალერგია მოგცესო და მაგითომ აღარ წავედი, თორემ ვაპირებდიო..." ხატია, 36 წლის (8 თვის ორსული): "უი, ახლა გამახსენდა, დამირეკეს 1 თვის წინ და შემომთავაზეს სახის ნილაბი, მასაჟი და ა.შ. რომ ვუთხარი ორსულად ვარ-მეთქი, კარგი მაშინ, სხვა დროს შეგეხმებიანო."

ნოუს საიტები მოგვითხრობენ, რომ "დეშელის" საქმიანობა მთლიანად აგრესიულ მარკეტინგზეა დაფუძნებული. რუსეთში უამრავი უკმაყოფილო მომხმარებელი ჩივის. ისინი ეჭვობენ, რომ კომპანია კლიენტების დასარწმუნებლად ნეიროლინგვისტურ პროგრამირებას იყენებს. გარდა ამისა, არსებობს ეჭვი, რომ პროდუქციის ხარისხი მის ფასს მთლად არ შეესაბამება.

## ულოცავენ!

**დავით ბოკლიაშვილს!**  
**თამარ დიმიტრიას!**  
გულწრფელად გილოცავთ საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ საპატიო სიგელით დაჯილდოვებას. გისურვებთ კვლავაც წარმატებებს თქვენს პროფესიულ საქმიანობაში, თქვენი ღვაწლი დიდა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. დათო! ასევე გილოცავთ დაბადების დღეს -9 აპრილს! იხარეთ და იბედნიერეთ თქვენს ოჯახებთან ერთად.  
საუბედრო სურვილებით და პატივისცემით გოლაჩი გონაშვილი.

**მაია ყორიაშვილს!**  
გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, კვლავაც ბევრი სასიკეთო საქმე გეკეთებინოთ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის. გვაზარადეთ უფალი.  
ჯამო მაჩხანის საბავშვო ბაღის თანამშრომელია.

**ყურადღება**  
გაცნობებთ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრი 15 აპრილიდან 5 ივნისამდე ახორციელებს პროექტს „იუმორისა და პაროდის ფესტივალი“. პროექტის ხელმძღვანელია-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის მთავარი სპეციალისტი ბავშვთა საკითხებში -ნონა ჯიბლაშვილი. პროექტის მიზანია იუმორისტული ნიჭის მქონე ადამიანების გამოვლენა და მათთვის შესაძლებლობების რეალიზებაში ხელშეწყობა.  
პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევა იუმორისტული ნიჭით დაჯილდოვებულ ნებისმიერ ადამიანს(საკვი არაა სეზონული). შესრულებული ნომრის დრო არ უნდა აჭარბებდეს 3 წუთს) პროექტი იმართება სამ ეტაპად:  
I - 8 მაისი ზემო მაჩხანის-არბოშის ზონა.  
II - 15 მაისი ქედების ზონა.  
III-22 მაისი ქალაქის ზონა.  
შერჩეული იქნებიან საუკეთესო შემსრულებლები და საფინანსო კონცერტი გაიმართება 1-5 ივნისს.საფინანსო კონცერტის ფიურის შემადგენლობაში იქნებიანცნობილი ქართველი იუმორისტი მსახიობები.  
მონაწილეობის მსურველებმა გთხოვთ, რეგისტრაცია გაიაროთ 1 მაისამდე. დანვრლებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით  
ტელ: 595 090510; 574 10 74 74  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრი

**სიასლე!**  
26 თებერვლიდან ქალაქ დედოფლისწყაროში მუშაობას იწყებს ინკუბატორი სპეციალურად იხვის კვერცხის გამოსაჩეკად. ასევე მიიღება ნებისმიერი ფრინველის კვერცხი.  
მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, კოსტავას ქუჩა N14, კულტურის სახლთან. მისასვლელი-ახალი პოლიციის ან ბაზრის მხრიდან. მსურველებმა დარეკეთ:  
579 33 07 41; 555 00 79 16;  
557 23 88 99; 790 40 82 15  
იკითხეთ თამაზი.

**იყიდება**  
იყიდება 1,5 ოთახიანი იზოლირებული ბინა 40 კვ.მ. ვანა-ტუალეტით, სამზარეულოთი, ცივი და ცხელი წყლით, კანალიზაციით, ბუნებრივი აირით, ელექტრო გაყვანილობით, სატელიტური ანტენით, სარდაფისა და საბოსტნე ადგილის გამოყოფის პერპექტივით. ფასი შეთანხმებით.  
დედოფლისწყარო, ნიკორიძის №41  
599 330 680

## აპრილი

ორშაბათი 14.04	სამშაბათი 15.04	ოთხშაბათი 16.04	ხუთშაბათი 17.04	პარასკევი 18.04	შაბათი 19.04	კვირა 20.04
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
11°	10°	14°	11°	14°	12°	16°
15°	14°	15°	10°	15°	10°	15°
15°	14°	15°	10°	15°	10°	15°

გამომცემელი შპს „შირაჟი“ დირექტორი ინგა შილაშვილი	სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრისიანი, ილია მარტყოფიანი (ყურანლისტები); ელა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ფოტო-მწერელი); მზინა ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	--	--	---